

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს
(MCA-Georgia)

სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №44

ქ. თბილისი

2018 წლის 7 ივნისი

2018 წლის 07 ივნისს, 16:00 საათზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. სხდომის თაობაზე შესაბამისი შეტყობინება მიწოდებულ იქნა საბჭოს წევრებისთვის და დამკვირვებელისათვის 2018 წლის 30 მაისს.

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეთვალყურეო საბჭო

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ ჩხენკელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

დავით ზალკალიანი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

ნინო ჩინჩალაძე

საერთაშორისო განათლების ცენტრის დირექტორი

სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები:

მაგდა მალრაძე

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

ჯენერ ედელმანი

აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი

დავით ქევხიშვილი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს იურიდიულ საკითხებში დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი

ელიზაბეტ რუდი

საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი ჩხაიძე

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ფინანსური დირექტორი

გიორგი კობალეიშვილი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ბიზნესთან, მთავრობასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი

სონია შარიგანი

აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე

თედო ჯაფარიძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი
საგარეო ურთიერთობების საკითხებში

სხდომას არ ესწრებოდა:

ზაზა კიკვაძე

IDS ბორჯომი საქართველოს
გენერალური დირექტორი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 30 ივნისამდე პერიოდის შესყიდვების გეგმა (დანართი 2).
3. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების გეგმა (Program Closeout Plan) (დანართი 3ბ) და ინფორმაცია პროგრამის დასრულების გეგმის შესახებ (დანართი 3ა).
4. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ფონდსა და სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) შორის 2015 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 4ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების პროექტის შესახებ (დანართი 4ა).
5. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ფონდს შორის გასაფორმებელი საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (GRDF) ამონაგები თანხების გამოყენების თაობაზე ხელშეკრულების პროექტი (დანართი 5ბ) და ინფორმაცია აღნიშნული ხელშეკრულების პროექტის შესახებ (დანართი 5ა).
6. საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის ამონაგები თანხების მართვის სამოქმედო დოკუმენტი (დანართი 6ბ) და ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (GRDF) ამონაგები თანხების გამოყენების შესახებ (დანართი 6ა).
7. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს შორის 2013 წლის 23 დეკემბერს გაფორმებულ N81 განმახორციელებელი სააგენტოს შეთანხმებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 7ბ) და ინფორმაცია ცვლილებების შესახებ (დანართი 7ა).
8. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულ N152 განმახორციელებელი სააგენტოს შეთანხმებაში

განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 8ბ) და ინფორმაცია ცვლილებების შესახებ (დანართი 8ა).

9. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის კონსულტანტ ინჟინრებს შორის 2016 წლის 20 ივნისს გაფორმებულ PP08-A1/GEP/CS/IC/01-1 და PP08-A1/GEP/CS/IC/01-2 ხელშეკრულებებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტები (დანართი 9ბ და 9გ) და ინფორმაცია ცვლილებების შესახებ (დანართი 9ა).
10. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის სისტემის შემუშავების პროექტის კონსულტანტს შორის 2015 წლის 11 ივნისს გაფორმებული NPP06-A1/GEP/CS/IC/01-63 ხელშეკრულების ვადის გაგრძელება (დანართი 10ბ) და ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ (დანართი 10ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 30 ივნისამდე პერიოდის შესყიდვების გეგმა (დანართი 2).
3. დამტკიცებულ იქნას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების გეგმა (Program Closeout Plan).
4. მოწონებულ იქნას სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის ფონდსა და სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) შორის 2015 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი და მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მადრაძეს, გააფორმოს აღნიშნული შეთანხმება (დანართი 4ბ). მოწონებულ იქნას ინფორმაცია ცვლილებების პროექტის შესახებ (დანართი 4ა).
5. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ფონდს შორის გასაფორმებელი საქართველოს რეგიონული


განვითარების ფონდის (GRDF) ამონაგები თანხების გამოყენების თაობაზე ხელშეკრულების პროექტი და მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრაძეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება (დანართი 5ბ). მოწონებულ იქნას ინფორმაცია ხელშეკრულების პროექტის შესახებ (დანართი 5ა).

6. დამტკიცებულ იქნას საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის ამონაგები თანხის მართვის სამოქმედო დოკუმენტი (დანართი 6ბ).
7. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს შორის 2013 წლის 23 დეკემბერს გაფორმებულ N81 განმახორციელებელი სააგენტოს შეთანხმებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 7ბ). სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს, მაგდა მალრაძეს მიენიჭოს აღნიშნულ ცვლილებებზე ხელმოწერის უფლებამოსილება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ (დანართი 7ა).
8. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის 2015 წლის 25 დეკემბერს გაფორმებულ N152 განმახორციელებელი სააგენტოს შეთანხმებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი (დანართი 8ბ). სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს, მაგდა მალრაძეს მიენიჭოს აღნიშნულ ცვლილებებზე ხელმოწერის უფლებამოსილება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია ცვლილებების შესახებ (დანართი 8ა).
9. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის კონსულტანტ ინჟინრებს შორის 2016 წლის 20 ივნისს გაფორმებულ PP08-A1/GEP/CS/IC/01-1 და PP08-A1/GEP/CS/IC/01-2 ხელშეკრულებებში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტები (დანართი 9ბ და 9გ). მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრაძეს, გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულებები. მოწონებულ იქნას ინფორმაცია განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ (დანართი 9ა).
10. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის სისტემის შემუშავების პროექტის კონსულტანტს შორის 2015 წლის 11 ივნისის გაფორმებულ N:PP06-A1/GEP/CS/IC/01-63 ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ პროექტი (დანართი 10ბ) და მიენიჭოს უფლებამოსილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს მაგდა მალრაძეს,

გააფორმოს აღნიშნული ხელშეკრულება. მოწონებულ იქნას ინფორმაცია განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ (დანართი 10ა).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

გიორგი კვიციანი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



მიხეილ ჩხენკელი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე



მამუკა ბახტაძე
საქართველოს ფინანსთა მინისტრი



თეა წულუკიანი
საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე



ნინო ჩინჩალაძე
საერთაშორისო განათლების ცენტრის
დირექტორი

